პოტიომკინის ზრდა:

რატომ ჩქარობენ საქართველოს მოქალაქეები ქვეყნის დატოვებას მზარდი მშპ-ს, მზარდი ექსპორტისა და შემცირებული უმუშევრობის ფონზე

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

პოტიომკინის ზრდა: რატომ ჩქარობენ საქართველოს მოქალაქეები ქვეყნის დატოვებას მზარდი მშპ-ს, მზარდი ექსპორტისა და შემცირებული უმუშევრობის ფონზე?

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

2025

კვლევაზე პასუხისმგებელი პირები: თამთა მიქელაძე, მარიამ ჯანიაშვილი
ყდის დიზაინი: როლანდ რაიკი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: *სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „პოტემკინის ზრდა: რატომ ჩქარობენ საქართველოს მოქალაქეები ქვეყნის დატოვებას მზარდი მშპ-ს, მზარდი ექსპორტისა და შემცირებული უმუშევრობის ფონზე?“, 2025.*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 032 2 23 37 06

https://socialjustice.org.ge/
info@socialjustice.org.ge
www.facebook.com/socialjustice.org.ge

შინაარსი

ქართული პარადოქსი 4

1. ეკონომიკური ზრდა ახალი სამუშაო ადგილების გარეშე..... 7

2. ზრდას მხოლოდ ზოგიერთისთვის მოაქვს სარგებელი, დანარჩენებისთვის კი - არა. 13

3. ზრდა არ ქმნის შესაძლებლობებს ამბიციური ადამიანებისთვის..... 15

4. ხალხის წასვლა იწვევს გარკვეულ ზრდას..... 18

5. უახლესი ზრდა არის რუსებისთვის ან რუსების გამო 22

შეჯამება..... 27

ქართული პარადოქსი

გავითვალისწინოთ, რომ:

- **მშპ მაღალია და სწრაფად იზრდება:** საქართველოს რეალური მშპ 2010-2023 წლებში გაორმაგდა (81 მილიარდ ლარამდე, 2023 წლის ფასებით); 2010 წლიდან 2023 წლამდე მშპ-ს ზრდა საშუალოდ 5.3% იყო, ხოლო 2021 წლიდან 2023 წლამდე - საშუალოდ 9.7%, რაც, ნებისმიერი სტანდარტით, ძალიან მაღალი მონაცემია;
- **ექსპორტი საგრძნობლად გაიზარდა:** 2010 წლიდან, საქონლისა და მომსახურების ექსპორტი გაიზარდა ოთხჯერ, საერთო ჯამში $13.1 მილიარდამდე;
- **გაიზარდა ხელფასები:** 2018-2023 წლებში, მედიანური ხელფასი 28%-ით გაიზარდა, ხოლო, იმავე პერიოდში, საშუალო ხელფასი - 20%-ით;
- **უმუშევრობა შემცირდა:** მიუხედავად იმისა, რომ განვითარებული მსოფლიოს სტანდარტებთან შედარებით, უმუშევრობის დონე ჯერ კიდევ ძალიან მაღალია, ის, 2010 წლიდან მოყოლებული, თითქმის განახევრდა და 2024 წლის მესამე კვარტლის მონაცემებით, 27%-დან 14%-მდე შემცირდა;
- **და ბოლოს:** 2017 წლიდან 2024 წლამდე, პორშეს მარკის ახალი ავტომობილების რეგისტრაციის მაჩვენებელი თითქმის 10-ჯერ გაიზარდა (124-დან 1 168-მდე).





წყარო: საქსტატი; იხ: https://www.geostat.ge/en/modules/categories/624/system-of-national-accounts-1993-sna-1993



ამ ყველაფრის ფონზე, ქვეყანას საქართველოს უამრავი მოქალაქე ტოვებს. მხოლოდ 2023 წელს, ქვეყანა 72 000-მა ადამიანმა (სხვაობა ქვეყნიდან წასულ 163 000 და ქვეყანაში დაბრუნებულ 92 000 ადამიანს შორის) დატოვა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 2000 წლის შემდეგ.[1] 2021-2024 წლებში (ოთხი წლის მონაცემებით), ქვეყანა დატოვა 158 000-მა ადამიანმა (სხვაობა გასულ და შემოსულ ადამიანებს შორის), ხოლო 2012 წლიდან 2024 წლამდე (13 წლის განმავლობაში), ქვეყანა დატოვა 317 000-მა ადამიანმა, რითაც მოსახლეობის რაოდენობა დიდად არ შემცირებულა მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოში 273 000 სხვა ქვეყნის მოქალაქე შემოვიდა: 112 000 რუსეთის მოქალაქე (საიდანაც 74 000, 2022 წლის შემდეგ შემოვიდა), ასევე, უკრაინის, თურქეთის, აზერბაიჯანის, ინდოეთის და სხვა ქვეყნის მოქალაქეები. საქართველოს მოქალაქეების მხრიდან თავშესაფრის მოთხოვნის სტატისტიკაც რეკორდულ დონეზეა: 39 000 მოთხოვნა - 2023 წელს და 36 000 მოთხოვნა - მხოლოდ 2024 წლის პირველ ნახევარში, რაც იმას ნიშნავს, რომ 2024 წლის სრული მონაცემი სავარაუდოდ 70 000-ს გადააჭარბებს, რაც კიდევ ერთი რეკორდული მაჩვენებელი იქნება.

[1] მოქალაქეობის მიხედვით მიგრაციის მონაცემები ხელმისაწვდომია მხოლოდ 2012 წლიდან. ემიგრაციის წმინდა მაჩვენებელი 2000 წელს 79 000 იყო; 2001 წელს ის 46 000-მდე დაეცა. ალბათ სამართლიანად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ წლების განმავლობაში საქართველოში საცხოვრებლად გადმოსული სხვა ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობა ძალიან მცირე იყო და ამდენად, საქართველოდან გასული მოსახლეობის უმეტეს ნაწილს საქართველოს მოქალაქეები შეადგენდნენ. აღნიშნული კი 2023 წლის მაჩვენებელს 2000 წლის მაჩვენებელზე ოდნავ ქვემოთ და 2001 წლის მაჩვენებელზე მაღლა აყენებს.





* მხოლოდ შუა წლის მონაცემები; წლის ბოლოს მონაცემები სავარაუდოდ 2-ჯერ მეტი იქნება

წყარო: გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი; იხილეთ https://www.unhcr.org/refugee-statistics/download

პარადოქსი მდგომარეობს შემდეგში: ეკონომიკური ზრდის ფონზე, განსაკუთრებით კი ბოლო 2-3 წლის განმავლობაში დაფიქსირებული ეკონომიკური ზრდის გათვალისწინებით, რატომ ტოვებს ასობით ათასი საქართველოს მოქალაქე ქვეყანას, *განსაკუთრებით* კი სწორედ ამ ბოლო 2-3 წლის განმავლობაში?

რა თქმა უნდა, პრობლემას არ შველის ის, რომ ქართული ოცნების ხელისუფლება სწრაფად აშენებს რუსული სტილის ავტორიტარულ რეჟიმს, განსაკუთრებით ბოლო პერიოდებში. თუმცა, ხალხის გადინება მასშტაბური ჯერ კიდევ მანამ იყო, სანამ ხელისუფლება მკვეთრად ავტორიტარულ კურსს აიღებდა - ასე რომ, ვფიქრობთ, ამ პრობლემას სერიოზული ეკონომიკური მიზეზებიც აქვს. კარგი იქნება, დავაიდენტიფიციროთ ეს მიზეზები და გადავწყვიტოთ, თუ რა შეიძლება გაკეთდეს მათ მოსაგვარებლად, თუკი ეს საერთოდ შესაძლებელია.

რაც შეეხება ამ მიზეზებს, ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ შემდეგი ხუთი:

1. ეკონომიკური ზრდა არ ითარგმნება სამუშაო ადგილებში;
2. ზრდა სარგებლიანია მხოლოდ ზოგიერთი ადამიანისა და ადგილისთვის, თუმცა არა - სხვებისთვის;
3. ეკონომიკური ზრდა არ ქმნის შესაძლებლობებს ამბიციური ადამიანებისათვის;
4. ხალხის მიერ ქვეყნის დატოვება იწვევს გარკვეულ ზრდას;
5. უახლესი ზრდა რუსების (რუსეთის) გამოა ან *რუსებისთვის.*

ვფიქრობთ, რომ ეს ხუთი მიზეზი ერთობლივად, ნაწილობრივ მაინც ხსნის იმ ფაქტს, რომ საქართველოს ამდენი მოქალაქე ტოვებს ქვეყანას მაშინ, როცა თითქოს ეკონომიკა ასე კარგად ვითარდება. მიმოვიხილოთ ხუთივე სათითაოდ.

1. ეკონომიკური ზრდა ახალი სამუშაო ადგილების გარეშე

ეკონომიკური ზრდა ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა, საქართველოს შემთხვევაში, ზრდა არ ქმნის საკმარის სამუშაო ადგილებს იმ ადამიანებისთვის, ვისაც ეს სჭირდება. 4 წლიანმა მაღალმა ეკონომიკურმა ზრდამ, 2021-2024 წლებში შექმნა 121 000 სამუშაო ადგილი (საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების პროგრამით შექმნილი 40 000 სამუშაო ადგილის გარეშე). ეს არ არის უმნიშვნელო რიცხვი, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ სამუშაო ადგილების უმეტესობა სავარაუდოდ გაქრება ერთ-ერთ მომდევნო კრიზისულ პერიოდში, როგორც ეს იყო მაგალითად 2013, 2016, 2017 წლებში და, განსაკუთრებით, 2020 წელს. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ეკონომიკა ქმნიდა საშუალოდ 14 000 სამუშაო ადგილს 2010 - 2024 წლების შუალედში. ეს *ძალიან* ცოტაა. რატომ? იმიტომ, რომ საქართველოს ეკონომიკის პირველი პრობლემა არის იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც შეიძლება მუშაობდეს, მაგრამ არ მუშაობს: ეს რიცხვი 600 000-ზე მეტია.



საქართველოში, 15+ მოსახლეობის მთლიანი რაოდენობა 2023 წელს 3 მილიონ ადამიანზე ნაკლები იყო (უფრო ზუსტად - 2 997 000 ადამიანი). მათგან:

- 920 000 ადამიანი, ანუ 31%, დაქირავებით მომუშავე იყო, რაც ნიშნავს, რომ როდესაც მათ დაუკავშირდნენ საქსტატიდან (რა თქმა უნდა არა ყველას, არამედ გარკვეულ რაოდენობას) და ჰკითხეს, მუშაობდნენ თუ არა, მათ უპასუხეს, რომ წინა შვიდი დღის განმავლობაში, დრო, რომელსაც ატარებდნენ სხვა ადამიანისთვის მუშაობაში, იყო ერთ საათზე მეტი;
- 414 000 ადამიანი, ანუ 14%, იყო თვითდასაქმებული, რაც იმას ნიშნავს, რომ იმავე წინა შვიდი დღის განმავლობაში მათ ერთ საათზე მეტი იმუშავეს საკუთარი თავისთვის. დაქირავებით მომუშავეებთან ერთად, ეს არის 45%, რომელიც ფორმალურად მუშაობდა, მცირე ხნით მაინც;
- 262 000 ადამიანი, ანუ 9%, იყო უმუშევარი, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი არ მუშაობდნენ, მაგრამ წინა ოთხი კვირის განმავლობაში აქტიურად ეძებდნენ სამუშაოს და მზად იყვნენ, პოვნის შემთხვევაში, დაეწყოთ სამსახური მომდევნო ორ კვირაში (ეს არის ის ხალხი, ვისი რაოდენობაც ჩანს უმუშევარი ადამიანების სტატისტიკაში);
- 354 000 ადამიანი, ანუ 12%, იყო „პოტენციური სამუშაო ძალა“, რაც ნიშნავს, რომ ისინი არ მუშაობდნენ, მაგრამ ან აქტიურად ეძებდნენ სამუშაოს წინა ოთხი კვირის განმავლობაში, მაგრამ არ იყვნენ მზად მომდევნო ორ კვირაში სამსახურის დასაწყებად, ან, მზად იყვნენ დასაწყებად მომდევნო ორ კვირაში, მაგრამ სამსახურს არ ეძებდნენ წინა ოთხი კვირის განმავლობაში (და ეს ის ხალხია, რომელთაც რაოდენობაც *არ აისახება* უმუშევარი ადამიანების სტატისტიკაში);
- დარჩენილი 1 047 000 ადამიანი, ანუ 35%, არ ეძებდა სამუშაოს წინა ოთხი კვირის განმავლობაში და არ იყო მზად მომდევნო ორ კვირაში მუშაობის დასაწყებად.[2]

მთლიანობაში, ქვეყანას ჰყავს 1.3 მილიონი დასაქმებული ადამიანი და 600 ათასზე მეტი, უფრო ზუსტად კი 616 000 ადამიანი, ვისაც სურს მუშაობა, მაგრამ არ მუშაობს.

ეს არის უმუშევარი ადამიანების *ძალიან დიდი* მაჩვენებელი.

[2] უცნაურია, რომ საქსტატი, სხვა ქვეყნების სტატისტიკის სააგენტოების მსგავსად, ჩვეულებრივ აჯგუფებს 12%-იან „პოტენციურ სამუშაო ძალას“ და 35%-იან „ყველა დანარჩენს“ და მათ „არასამუშაო ძალას“ უწოდებს, მიუხედავად იმისა, რომ აშკარაა, რომ ზოგიერთი მათგანი უფრო მეტადაა არასამუშაო ძალა, ვიდრე სხვები. ჩვენ ხელახლა გამოვთვალეთ „პოტენციური სამუშაო ძალის“ კატეგორიის ადამიანთა რეალური რაოდენობა საქსტატის სამუშაო ძალის არასრული გამოყენების სტატისტიკის საფუძველზე. იხილეთ: https://cutt.ly/Srf0GQlP, სექციაში: „არასრულად გამოყენებული სამუშაო ძალის მაჩვენებლები“.



წყარო: საქსტატი; იხ. https://www.geostat.ge/en/modules/categories/683/Employment-Unemployment

უმუშევრობის მაჩვენებელი სრულად ვერ ასახავს სიტუაციის სიმძიმეს, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ იმ პირებს ითვლის, ვინც ფორმალურად უმუშევრად მიიჩნევა. უმუშევართა რაოდენობას ვიღებთ შემდეგნაირად: უმუშევარი პირების რაოდენობას, რომელიც 256 000 ადამიანს შეადგენს, ვყოფთ უმუშევარი და დასაქმებული პირების (920 000 + 414 000) ჯამურ რაოდენობაზე. 2023 წელს, უმუშევარი ადამიანების რაოდენობა იყო 16%, ხოლო 2024 წლის მესამე კვარტლის მონაცემებით - 14%. ეს *ძალიან მაღალია*; მაგალითად, აშშ-ში, 5%-ზე მაღალი ნებისმიერი მაჩვენებელი დიდ პრობლემად ითვლება. აშშ-ს ისტორიაში, უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 24.9% - 1933 წელს, დიდი დეპრესიის ყველაზე მძიმე პერიოდში დაფიქსირდა. 2014 წელს, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად, უმუშევრობის დონე 25%-ს ჩამოსცდა, შესაბამისად, ქვეყანა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 23 წლის განმავლობაში, ძირითადად დიდი დეპრესიის ყველაზე მძიმე პერიოდზე უარეს მდგომარეობაში იყო. ყველაფერი კი ცუდიდან უარესისკენ მიდის, თუკი შევხედავთ „პოტენციური სამუშაო ძალის“ და ასევე, „უმუშევრების“ კატეგორიებს. თუ, „პოტენციური სამუშაო ძალის“ კატეგორიის 354 000 ადამიანს 262 000 უმუშევარს დავუმატებთ და მათ ჯამს დავუმატებთ 10 000 ადამიანს, ვინც დასაქმებულია, მაგრამ სურს უფრო მეტი სამუშაოს შესრულება (საქსტატი აღნიშნულს უწოდებს „არასრულ დასაქმებას“) და ჯამს გავყოფთ ამ კატეგორიების ჯამს დამატებული დასაქმებული ადამიანების რაოდენობაზე, მივიღებთ იმას, რასაც საქსტატი მეტად უცნაურად უწოდებს „არასრულად გამოყენებული სამუშაო ძალის დონეს“. და ამ დონის მაჩვენებელი - 32% - ნათლად მიგვითითებს, რომ *ყოველი მესამე* ადამიანი, ვისაც მუშაობა სურს, ვერ პოულობს სამსახურს. მათ შორის კი თითქმის ორი მესამედი - 58%, ანუ შრომის პოტენციური რესურსის წილი უმუშევარ ადამიანებში - საერთოდ აღარ ეძებს სამსახურს, რადგან იცის, რომ ვერ იპოვის მას რაჭის, გურიის ან სხვა რაიონის სოფლებში, სადაც ცხოვრობს. ეს არ არის ის, რასაც მზარდი ეკონომიკა უნდა ჰგავდეს.



წყარო: გამოთვლები საქსტატის საფუძველზე; იხილეთ https://www.geostat.ge/en/modules/categories/683/Employment-Unemployment

რა თქმა უნდა, ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად ყოველ ქვეყანას აწუხებს, სადაც გარანტირებული დასაქმება არ არის. მაგრამ საქართველოში მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმეა. რამდენად მძიმე? ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ქვეყანას შევადარებთ. ჩვენ არ შეგვიძლია, „არასრულად გამოყენებული სამუშაო ძალის დონე“ სხვა ქვეყნებს მარტივად შევადაროთ, რადგან ქვეყნები მას სხვადასხვანაირად უყურებენ, მაგრამ *შეგვიძლია,* შევადაროთ 15 წელზე მეტი ასაკის ადამიანების წილი, რომლებიც მუშაობენ, რაც საქართველოში 45%-ია. თუ ამ მაჩვენებელს ნიდერლანდებს შევადარებთ, სადაც 66% მუშაობს, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ევროკავშირში, ეს დაახლოებით 650 000 „დაკარგული“ სამუშაო ადგილია, რაც მეტია, ვიდრე ქვეყანაში უმუშევართა და შრომის პოტენციური რესურსის მქონე პირების ჯამური რაოდენობა. თუ ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს შევადარებთ, რომელიც 54%-ია, განსხვავება დაახლოებით 300 000 სამუშაო ადგილს შეადგენს, რაც დაახლოებით ნახევარია იმ 600 000-იანი სამუშაო ძალის, რომელიც რეალურად არ მუშაობს. რაც შეეხება შედარებას საბერძნეთთან ან იტალიასთან, სხვაობა დიდად თვალშისაცემი არ არის, თუმცა არც ერთი ქვეყანა არ არის განსაკუთრებით მიმზიდველი შედარების ობიექტად (მით უმეტეს საბერძნეთი, რომელმაც ბოლო 15 წლის განმავლობაში თავისი „დიდი დეპრესია“ გადაიტანა.).



წყარო: გამოთვლები საქსტატის საფუძველზე; იხილეთ https://www.geostat.ge/en/modules/categories/683/Employment-Unemployment
ევროკავშირისთვის, იხილეთ https://ec.europa.eu/eurostat/databrowser/view/lfsa_ergan__custom_13963102/default/table?lang=en

საქართველოში განსაკუთრებით რთულია მდგომარეობა ახალგაზრდებისთვის: 15-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდების 23% არც დასაქმებულია, არც სწავლობს და არც რაიმე პროფესიულ გადამზადებაში მონაწილეობს (NEET, ასე ეწოდება ამ კატეგორიას ეკონომიკურ სტატისტიკაში). ეს მაჩვენებელი თითქმის ორჯერ აღემატება ნებისმიერი ევროპული ქვეყნის შესაბამის მონაცემს და დაბალი საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნის საშუალო დონეს (საუბარია იმ ქვეყნებზე სადაც, მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მეშ)[3] 1 100-დან 4 500 დოლარამდე მერყეობს). თუმცა, ერთ სულზე ანგარიშით საქართველოს მეშ შეადგენს 5 700 დოლარს, რის გამოც ქვეყანა განეკუთვნება მაღალი საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების ჯგუფს (მეშ 4 500-დან 13 800 დოლარამდე) და დაახლოებით ორჯერ აღემატება დაბალი საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების ჯგუფის საშუალო მაჩვენებელს.



მთლიანობაში, ის ადამიანებიც კი, ვინც საქართველოში დასაქმებულია, ხშირად დაბალი ხარისხის სამუშაოზე მუშაობენ: დასაქმებულთა 31% თვითდასაქმებულია, რაც დაახლოებით 2.4-ჯერ აღემატება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს (ყველაზე ახლოს კვლავ საბერძნეთია - რაც პოზიტიური მაჩვენებელი არ არის). ზოგიერთი თვითდასაქმებული, რა თქმა უნდა, მაღალანაზღაურებადი პროგრამისტია, მაგრამ უმრავლესობა ტაქსის მძღოლი, კურიერი ან ამ ტიპის საქმიანობით დაკავებული პირია. დასაქმებულთა შორის ასევე მაღალი იყო არაფორმალური დასაქმების წილი, 28% - 2023 წელს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ევროკავშირში 2016 წელს დაფიქსირებულ 17%-ს.[4]

[3] მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მეშ). მისი განსხვავება მშპ-სგან იმაში მდგომარეობს, რომ მშპ ასახავს ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებული ყველა საქონლისა და მომსახურების ღირებულებას, ხოლო მეშ წარმოადგენს იმ მთლიან შემოსავალს, რომელსაც ქვეყნის მოქალაქეები და რეზიდენტები იღებენ - მიუხედავად იმისა, სად მიიღეს ეს შემოსავალი. უმეტეს ქვეყნებში ეს ორი მაჩვენებელი ერთმანეთთან რამდენიმე პროცენტით განსხვავდება. მსოფლიო ბანკი სწორედ მეშ-ს იყენებს შემოსავლების მიხედვით ქვეყნების დაჯგუფებისთვის. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: https://cutt.ly/xrf2Qx8i.

[4] იხილეთ საქსტატის მონაცემები ბმულზე: https://cutt.ly/Erf2YOJM, სექციაში: „არაფორმალური დასაქმება“ და შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ევროკავშირის არაფორმალური ეკონომიკის მიმოხილვა, https://cutt.ly/Crf2Ued6. რაც შეეხება ევროკავშირის შიდა რეგიონულ განსხვავებებს, 2008-2009 წლების მონაცემებით, „არაფორმალური დასაქმების მაჩვენებელი სკანდინავიის ქვეყნებში დაახლოებით 11% იყო, 15% – აღმოსავლეთ ევროპაში, 16% - დასავლეთ ევროპაში და 28% - სამხრეთ ევროპაში.“ იხილეთ: Mihails Hazans, *Informal Workers across Europe: Evidence from 30 Countries*, https://cutt.ly/Grf2PRWU.



წყარო: გამოთვლები საქსტატის სამუშაველზე; იხილეთ https://www.geostat.ge/en/modules/categories/683/Employment-Unemployment
ევროკავშირისთვის, იხილეთ https://www.cedefop.europa.eu/en/tools/skills-intelligence/self-employment

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ 2010 წლის შემდეგ მდგომარეობა გარკვეულად გაუმჯობესდა - მაშინ სიტუაცია კიდევ უფრო მძიმე იყო: დასაქმებულთა წილი 37%-დან 47%-მდე გაიზარდა, ხოლო თვითდასაქმებულთა წილი 39%-დან 32%-მდე შემცირდა. ასე რომ, მდგომარეობა „ძალიან ცუდიდან“ „ცუდამდე“ შეიცვალა. არაფორმალურ დასაქმებაზე წინა წლების საკმარისი მონაცემები არ არსებობს, მაგრამ სავარაუდოა, რომ ამ მიმართულებითაც გარკვეული გაუმჯობესება მოხდა. 374 ათასით შემცირებული უმუშევრობის მაჩვენებლიდან 37% არა ეკონომიკურ ზრდას, არამედ ადამიანების ემიგრაციასა და გარდაცვალებას უკავშირდება. უმუშევრობის შემცირების თვალსაზრისით, ეს არცთუ ისე პერსპექტიული ფაქტორია.



1 სტატისტიკაში ნაჩვენები არ არის პოტენციური სამუშაო ძალის მაჩვენებელი, რადგან მსგავსი მონაცემები მხოლოდ 2020 წლიდანაა ხელმისაწვდომი.
წყარო: საქსტატი; იხ. https://www.geostat.ge/en/modules/categories/683/Employment-Unemployment

მშპ-ის ზრდა დიდად არ უწყობს ხელს დასაქმებას, რადგან მისი მნიშვნელოვანი ნაწილი იმ ტიპის ზრდაა, რომელიც სამუშაო ადგილებს არ ქმნის: 2017-2023 წლებში ზრდის 48%-ს ან საერთოდ არ შეუქმნია სამუშაო ადგილები, ან ძალიან ცოტა შექმნა. რატომ? სოფლის მეურნეობაში სამუშაო ადგილები ყველგან მცირდება, რადგან ხდება მექანიზაცია (მსხვილ ფერმებს შეუძლიათ, უფრო იაფად აწარმოონ, ვიდრე მცირე ფერმებს, რადგან ისინი ნაკლებ

შრომას მოიხმარენ; შედეგად, იხურება პატარა ფერმები, რადგან მათ აღარ შეუძლიათ კონკურენციის გაწევა). განათლების სფეროში ზრდა იმით იყო გამოწვეული, რომ ნაკლები ადამიანი უფრო მაღალ ანაზღაურებას იღებდა. იგივე მოხდა IT-სექტორში: ძალიან მცირე რაოდენობის ადამიანებმა მნიშვნელოვნად გაზარდეს შემოსავალი. იგივე ეხება ფინანსურ სექტორს, უძრავ ქონებას, სოციალურ სფეროსა და ხელოვნებასაც, უბრალოდ იგივე ადამიანები იღებენ მეტ ანაზღაურებას, ან იგივე კომპანიები იღებენ მეტ მოგებას. ის სექტორები, რომლებშიც რეალურად შეიქმნა გარკვეული სამუშაო ადგილები, იყო მრეწველობა, სასტუმროსა და კვების მომსახურება და ტრანსპორტი - 2017-2023 წლებში ამ სფეროებში შეიქმნა სულ 47 000 სამუშაო ადგილი, რაც ზრდის 28%-ს შეადგენს. და სფეროები, რომლებმაც ნამდვილად შექმნეს სამუშაო ადგილები, იყო ვაჭრობა, ავტომობილების რემონტი და მშენებლობა, მაგრამ მათ ერთად მხოლოდ 66 000 სამუშაო ადგილი შექმნეს 2017 წლის შემდეგ და ზრდის 23%-ზე არიან პასუხისმგებელნი.



1 „ყველა სხვა" მოიცავს პროფესიულ, სამეცნიერო და ტექნიკურ საქმიანობას; სხვა სერვისები; მინამუშნებების, როგორც დამსაქმებლების საქმიანობას; მინამუშნებების არადიფერენცირებული საქონლისა და მომსახურების წარმოების საქმიანობას საკუთარი სარგებლობისთვის; და ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობას.

წყარო: საქსტატი, იხ. https://www.geostat.ge/en/modules/categories/683/employment-unemployment (იხ. „დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობისა და სქესის მიხედვით") და https://www.geostat.ge/en/modules/categories/23/gross-domestic-product-gdp (იხილეთ „მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში")

სამუშაო ადგილების შექმნის ამ დონით - წელიწადში საშუალოდ 14 000, როგორც ადრე ვთქვით - საქართველოს 19 წელი დასჭირდება ევროკავშირის დასაქმების საშუალო დონეს რომ მიაღწიოს. პირი, რომელიც იმ 600 000-ზე მეტი სამუშაოს მაძებარი ადამიანების ჯგუფშია, არ იქნება მზად, ამდენი ხანი სამსახურის ლოდინში გაატაროს. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ ხალხი ქვეყანას ტოვებს.

2. ზრდას მხოლოდ ზოგიერთისთვის მოაქვს სარგებელი, დანარჩენებისთვის კი - არა

პირველ რიგში, დაფიქსირებული ეკონომიკური ზრდა ძირითადად არა რეგიონებისთვის, არამედ თბილისისა და ბათუმისთვისაა სარგებლის მომტანი. 2023 წელს ქვეყნის მთლიანი ეკონომიკური ზრდის 76% სწორედ თბილისსა და აჭარაზე მოდიოდა - 2022 წელს ეს მაჩვენებელი 66% იყო, ხოლო 2021-ში - 60%. ეს მაშინ, როცა ამ ორი რეგიონის ოფიციალური წილი მოსახლეობაში მხოლოდ 43%-ია. შესაძლოა, რომ 43% არ არის რეალური მაჩვენებელი და მოსახლეობის რაოდენობა ამ ორ რეგიონში უფრო მაღალია, თუმცა, ამას არ აქვს მნიშვნელობა - თუნდაც ვივარაუდოთ, რომ ამ რეგიონებში მოსახლეობის 76% არის წარმოდგენილი, მაინც აბსურდულია, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის 3/4 ქვეყნის ორ

რეგიონზე მოდის, ხოლო დანარჩენი ქვეყანა თვითგადარჩენის რეჟიმზეა (სიმბოლურია ისიც, რომ თბილისი-ბათუმის ექსპრეს მატარებლის პირველი გაჩერება ქუთაისის აეროპორტთან არის, შემდეგ კი უშუალოდ ზღვისპირა ურეკში, დანარჩენ რეგიონებს კი უბრალოდ გზად გაივლის).



გარდა ამისა, ევროპის უმეტეს ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში მშპ-ში შრომის ანაზღაურების წილი დაბალია - არა საგანგაშოდ დაბალი (როგორც, მაგალითად, ტაჯიკეთის შემთხვევაში), მაგრამ მაინც საკმარისად დაბალი, რომ პრობლემად ითვლებოდეს.[5] აღნიშნული მაჩვენებელი დაახლოებით 46%-ია (დარჩენილი 14% მოდის გადასახადებზე და 38% მოდის კომპანიების მოგებებზე), რაც ევროპის მასშტაბით ყველაზე დაბალი მაჩვენებელია, გარდა რუმინეთისა, სადაც იგი 41%-ია და ირლანდიისა, სადაც მხოლოდ 31%-ია, თუმცა ეს იმითაა გამოწვეული, რომ ირლანდიური საგადასახადო სისტემა აშშ-ის მსხვილ კორპორაციებს ახალისებს, რომ თავიანთი მოგება სწორედ ირლანდიაში დაადეკლარირონ, რაც მშპ-ში კორპორაციული მოგების წილს მნიშვნელოვნად ზრდის). ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელი 57%-ია, რაც, შედარებისთვის, საქართველოზე 24%-ით მეტია - ანუ, თუკი საქართველოში დასაქმებულები ევროკავშირის საშუალო მაჩვენებლის წილის ტოლს მიიღებდნენ მშპ-დან, ისინი წელიწადში სამი დამატებითი ხელფასის ეკვივალენტის მიღებას შეძლებდნენ. მართალია, 2010 წლიდან მოყოლებული, სიტუაცია გაუმჯობესდა - მაშინ შრომის ანაზღაურების წილი მშპ-ში მხოლოდ 40% იყო. მაგრამ სიტუაცია მაინც იგივეა - „საშინელიდან" „ნაკლებად საშინელზე" გადასვლა, და ქვეყნიდან წასვლის კიდევ ერთი მიზეზი - იმიტომ, რომ თუ ადამიანი თბილისსა ან ბათუმში არ ცხოვრობს ან/და კომპანიის მფლობელი არ არის, მისთვის ეკონომიკური ზრდა უმეტესწილად მხოლოდ ფასების ზრდას ნიშნავს.

[5] მშპ-ის გააზრების მარტივი გზაა, რომ მას შევხედოთ, როგორც ხელფასების, მოგებებისა და გადასახადების ჯამს. მთელი ის „დამატებული ღირებულება", რაც მშპ-ს ქმნის, საბოლოოდ ვიღაცას უნდა შეხვდეს, და არსებობს მხოლოდ სამი ადგილი, სადაც ის შეიძლება აღმოჩნდეს - ხელფასები, მოგებები და გადასახადები. ამგვარად, მშპ გამოითვლება „შემოსავლების მიდგომით".



წყარო: საქსტატი https://www.geostat.ge/en/modules/categories/23/gross-domestic-product-gdp (იხ. „შემოსავლის გენერაციის ანგარიში") და UNECE https://w3.unece.org/SDG/en/Indicator?id=30

3. ზრდა არ ქმნის შესაძლებლობებს ამბიციური ადამიანებისთვის

ნაკლებად დიპლომატიურად რომ ვთქვათ, ეს არის *პრიმიტიული ზრდა.*

მიზეზების ასახსნელად, უნდა გაანალიზდეს საქართველოს ექსპორტი: 2010 წელს წამყვანი ათი ექსპორტირებული პროდუქტი იყო ფეროშენადნობები, შეკეთებული მეორადი ავტომობილები, დაუმუშავებელი ოქრო, ჯართი, აზოტის სასუქები, კაკალი და სხვა თხილეული, სპილენძის მადანი და კონცენტრატი, ალკოჰოლური სასმელები, სპილენძის ნარჩენები, ჯართი, და ღვინო. ეს პროდუქცია ერთად ქვეყნის $1.7 მილიარდიანი ექსპორტის 65%-ს შეადგენდა. ნედლეულსა ან აგრარულ პროდუქციაში არ გვხვდება არცერთი ტექნოლოგიურად განვითარებული ან ტექნოლოგიურად დახვეწილი პროდუქტი.

14 წლის შემდეგ, 2024 წელს, რეალური მშპ გაორმაგდა, მაგრამ წამყვანი ათი ექსპორტირებული პროდუქტი დიდად არ შეცვლილა: შეკეთებული მეორადი მანქანები, სპილენძის მადნები და კონცენტრატები, ღვინო და სხვა ალკოჰოლური სასმელები, ფეროშენადნობები, აზოტის სასუქები, მინერალური წყალი, მედიკამენტები, უალკოჰოლო სასმელები, კაკალი და სხვა თხილეული. მათ ჯამში ქვეყნის $6.6 მილიარდიანი ექსპორტის 64% უჭირავთ. ერთადერთი სიახლე 2010 წელთან შედარებით არის $100 მილიონზე მეტი ღირებულების მედიკამენტების გამოჩენა, რაც ტექნოლოგიურად კომპლექსურ კატეგორიას ოდნავ მაინც მიეკუთვნება. დანარჩენი ყველაფერი იგივეა - ნედლეული და მინიმალურად გადამუშავებული აგრარული პროდუქცია.



წყარო: საქსტატი, ექსპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით (HS4 დონე), https://www.geostat.ge/en/modules/categories/637/export

თუ წამყვანი ათი პროდუქტის მიღმა, ექსპორტის საუკეთესო 30 პოზიციაზე მყოფ პროდუქტს შევხედავთ, რაც ქვეყნის ექსპორტის 80%-ს შეადგენს, ვნახავთ, რომ შუა პოზიციებში გამოჩნდება მაისურები (დაახლოებით 67 მლნ დოლარი 2023 წელს), სამედიცინო აპარატურა (52 მლნ დოლარი), წყლის გამაცხელებლები (38 მლნ დოლარი) და მამაკაცის კოსტიუმები და შარვლები (37 მლნ დოლარი).[6] ეს ყველაფერი დიდად ტექნოლოგიურად განვითარებულ სურათს ვერ ქმნის და არც დიდად მიმზიდველია იმ ადამიანებისთვის, ვისაც ინდუსტრიულ სფეროში სურს საქმიანობა - ვთქვათ, ინჟინრად ან სამრეწველო კვლევის მიმართულებით. ბუნებრივია, ბევრი ასეთი ადამიანი ქვეყანას დატოვებს.

[6] აღნიშნულ ჩამონათვალში შედის რეზინის საბურავებიც ($30 მლნ), თუმცა, სავარაუდოდ, ეს რეექსპორტს წარმოადგენს. რაც შეეხება დანარჩენებს: მედიკამენტებს ძირითადად ქართული კომპანიები აწარმოებენ, როგორიცაა „ავერსი ფარმა“; ტანსაცმელს თურქული და ქართული მფლობელობის ქარხნები კერავენ თურქული და დასავლური ბრენდებისთვის; ხოლო წყლის გამაცხელებლებს, დიდი ალბათობით, საფრანგეთის კომპანია Groupe Atlantic აწარმოებს.



მოლოდინი, რომ რამე თავისით შეიცვლება, არაეფექტიანია: საქართველოს ხარჯები კვლევასა და განვითარებაზე (R&D), რაც ნიშნავს იმგვარი ახალი პროდუქტების შექმნასა და განვითარებას, რომელთაც ბაზარზე ექნებათ მოთხოვნა და სხვა ქვეყნების პროდუქციას გაუწევენ კონკურენციას, შეადგენს მშპ-ის მხოლოდ 0.3%-ს. ეს, მართალია, უკეთესია, მაგალითად, მიანმარის მაჩვენებელზე (0.1%) და ოდნავ მაღალიცაა, ვიდრე პაკისტანში, ბოსნია-ჰერცეგოვინაში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და მოლდოვაში (თითოეულ მათგანში - 0.2%), მაგრამ ბევრად ჩამორჩება ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა სერბეთი (1%), ჩეხეთი (2% - ანუ ათჯერ მეტი), არაფერი რომ ვთქვათ ისეთ ქვეყნებზე, როგორიცაა, აშშ (3.5%), სამხრეთ კორეა (4.9%) ან ისრაელი, მსოფლიო ლიდერი ამ სფეროში, 5.6%-ით (რაც განსაკუთრებით საინტერესოა იმ ფონზე, რომ ქართველი პოლიტიკოსები ხშირად აცხადებენ, რომ ისრაელის მოდელის მიბაძვა სურთ). ცხადია, თუ ინვესტიციები კვლევასა და განვითარებაში ისეთივე მცირეა, როგორც საქართველოში, მაშინ ქვეყანას არასოდეს ექნება შანსი, გასცდეს მანქანების შეკეთებასა და მიწიდან ნედლეულის ამოღებას.



4. ხალხის წასვლა იწვევს გარკვეულ ზრდას

2010 წელს უცხოეთიდან საქართველოს რეზიდენტებისთვის განხორციელებული პირადი გადარიცხვები $0.8 მილიარდს შეადგენდა; 2024 წლისთვის ეს მაჩვენებელი თითქმის ოთხჯერ გაიზარდა და $3.1 მილიარდს მიაღწია. ზრდის გარკვეული ნაწილი ინფლაციის შედეგია, ნაწილი იმით აიხსნება, რომ ემიგრირებული ქართველები უკეთ ცხოვრობენ, ნაწილიც იმით, რომ საქართველოში მცხოვრებ უცხოელებს ფულს საკუთარი ქვეყნებიდან უგზავნიან, თუმცა, ალბათ, ძირითადი მიზეზი მაინც ის არის, რომ 2010 წლის შემდეგ საქართველოდან წასულმა ასიათასობით ადამიანმა ოჯახებისთვის ფულის გამოგზავნა დაიწყო (300 ათასი ადამიანიდან, თუ ყოველწლიურად თითოეული $10 000-ს გამოგზავნის, ეს უკვე 3 მილიარდი დოლარია). ქართველებისთვის ეს შემოსავალი ძალიან მნიშვნელოვანია: 2022 წლამდე, სანამ სტატისტიკა მნიშვნელოვნად შეიცვალა რუსეთის მოქალაქეების დიდი ნაკადით და მათთვის საქართველოში გამოგზავნილი თანხებით, ყოველწლიური გადარიცხვები ერთ სულ მოსახლეზე შეადგენდა 625 აშშ დოლარს, რაც 48%-ია იმ თანხასთან შედარებით, რასაც საშუალო სტატისტიკური მოქალაქე წელიწადში ხარჯავდა.[7]

[7] რა თქმა უნდა, ზოგიერთი ოჯახი ამ გადარიცხვებზე თითქმის სრულად არის დამოკიდებული, მაშინ როცა სხვები საერთოდ არ იღებენ ასეთ დახმარებას - ეს დამოკიდებულია იმაზე, ჰყავთ თუ არა ოჯახებს ნათესავები უცხოეთში. მიუხედავად იმისა, რომ 48%-იანი მაჩვენებელი ძალიან მაღალი ჩანს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქსტატის მიხედვით 2021 წელს ერთ ადამიანზე საშუალო თვიური ხარჯი 346 ლარი იყო, ანუ წლიური 4 152 ლარი. 625 აშშ დოლარი 2021 წლის საშუალო გაცვლითი კურსით (3.22) უდრის 2 013 ლარს; 2 013 ლარის გაყოფა 4 152 ლარზე იძლევა სწორედ ამ 48%-იან მაჩვენებელს. ვალუტის კურსები იხილეთ: https://cutt.ly/Brhp21Ra; ოჯახის შენახვის ხარჯვის ნაწილი იხილეთ: https://cutt.ly/arhp9j6O. აღსანიშნავია, რომ ბოლო დოკუმენტის მე-3 გრაფიკში, ფულად შემოსავლებში გადარიცხვების წილი მხოლოდ 3.3%-ია. ჩვენი ანალიზით მიღებულ 48%-იან მაჩვენებელთან ასეთი დიდი სხვაობა ან ჩვენს შეფასებაში არსებულ პრობლემაზე მიანიშნებს (რაზეც ჯერ არ გვაქვს ინფორმაცია), ან საქსტატის მეთოდოლოგიის ხარვეზზე.



საყურადღებოა, რომ პირადი გადარიცხვები ყველაზე მეტად იმ ქვეყნებიდან მოდის, სადაც ქართველები საცხოვრებლად მიდიან ან უკვე ცხოვრობენ - რუსეთი, იტალია, აშშ, გერმანია და საბერძნეთი.



მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოს რეზიდენტებისთვის განხორციელებული ფულადი გადარიცხვების წილი მშპ-ში ბოლო წლებში იზრდება, მაშინაც კი, როცა თავად მშპ წლიურად თითქმის 10%-ით იზრდება. ეს წილი 2016 წელს დაახლოებით 10% იყო, ხოლო 2023 წლისთვის უკვე 14%-ს მიაღწია, რაც მეტია, ვიდრე მოლდოვასა და ბოსნია - ჰერცეგოვინაში (12% და 10%), ასევე, ალბანეთში, სერბეთსა და სომხეთში (9%, 8% და 6%). ამ ქვეყნებში, ბოლო წლებში, გადარიცხვების წილი მშპ-ში მცირდება: მაგალითად, 2013 წელს, მოლდოვაში ის 23%-ს შეადგენდა, ხოლო სომხეთში - 20%-ს. საქართველოს შემთხვევაში კი, პირიქით, მხოლოდ იზრდება.



წყარო: მსოფლიო ბანკი, იხ. https://data.worldbank.org/indicator/BX.TRF.PWKR.DT.GD.ZS?end=2023&locations=GE-AM-MD-RS-AL-BA&start=2010&view=chart

ფულადი გადარიცხვები და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები ის ძირითადი წყაროა, რაც საქართველოს საშუალებას აძლევს, დააფინანსოს იმპორტი. იმპორტირებული საქონელი ძირითადად მოიცავს მანქანებს, საწვავს, მედიკამენტებს, ბუნებრივ აირს და მობილურ ტელეფონებს (ხუთი წამყვანი პოზიცია იმპორტში). ქვეყანას არ აქვს საკმარისი ექსპორტი: 2024 წელს საქონლის ექსპორტი შეადგენდა $8.1 მილიარდს, მაშინ როცა იმპორტი იყო $15.1 მილიარდი - ანუ დეფიციტი $6.5 მილიარდია.[8] ამ სხვაობის უმეტესი ნაწილი დაფარა სწორედ ტურიზმის შემოსავალმა და თანხამ, რომელიც საქართველოს მაცხოვრებლებს საზღვარგარეთიდან ეგზავნებათ. დამხმარე როლს ასევე ასრულებს საზღვარგარეთიდან გადახდილი ხელფასები (სავარაუდოდ, ძირითადად ისეთი სამუშაოებისთვის, როგორიცაა უცხოურ ქოლ-ცენტრებში დასაქმება), კომპიუტერული მომსახურების ექსპორტი (2022 წლის შემდეგ განსაკუთრებით გაიზარდა, მას შემდეგ, რაც ახლად ჩამოსული რუსები ამ სექტორში აქტიურად ჩაერთნენ) და სატრანსპორტო მილსადენების გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი.

[8] თუ გამოვიყენებთ საგადახდო ბალანსის მეთოდოლოგიას, იმპორტი შეადგენს $17 მილიარდს, ხოლო ექსპორტი $6.5 მილიარდს. ამ აზზაცში გამოყენებულია სწორედ ის მაჩვენებლები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, საქართველოს საგადახდო ბალანსის სხვა ელემენტებიც განვიხილოთ. საქონლის იმპორტისა და ექსპორტის შემთხვევაში, ეროვნული ბანკის მონაცემებში გამოყენებული საგადახდო ბალანსის მეთოდოლოგია აჩვენებს შედარებით მაღალ ექსპორტს და დაბალ იმპორტს, მაშინ როცა საქსტატის მონაცემებში გამოყენებული საგარეო ვაჭრობის მეთოდოლოგია - პირიქით. მთავარი განსხვავება ის არის, რომ ეროვნული ბანკი აფიქსირებს საკუთრების უფლების ცვლილებას და იყენებს FOB (გემზე ჩატვირთვის) ფასებს, მაშინ როცა საქსტატი ითვლის საზღვარზე გადაადგილებას და იყენებს CIF (ღირებულება, დაზღვევა, ტრანსპორტი) ფასებს. არსებობს სხვა განსხვავებებიც; დეტალებისთვის იხილეთ: https://cutt.ly/7rhayG4C, გვ.8. სერვისების შეფასება ორივე მეთოდოლოგიაში იდენტურია.



1 საქონლის იმპორტისა და ექსპორტის მაჩვენებლები განსხვავდება საქსტატის მონაცემებისგან ($17 მლრდ იმპორტი და $6.0 მლრდ ექსპორტი), რაც გამოწვეულია მეთოდოლოგიური განსხვავებებით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკასა (რომელიც დაფუძნებულია საზღვრის გადაკვეთაზე) და საგადახდო ბალანსის გათვლებს (რომლებიც ეფუძნება მფლობელობის ცვლილებას). ასევე განსხვავდება ფასების განსაზღვრის მეთოდოლოგიაც: საგადახდო ბალანსი იყენებს შედარებით დაბალ „გემზე დატვირთვის" (FOB) ფასებს, ხოლო საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა — უფრო მაღალ „ღირებულება, დაზღვევა და ტრანსპორტი" (CIF) ფასებს. ასევე არსებობს სხვა ფაქტორებიც. ვრცლად იხ. https://nbg.gov.ge/fm/პუბლიკაციები/ანგარიშები/საგადასახდელო_ბალანსი/2022/bop-2022-eng-final.pdf, გვ.8
2 „ყველაფერი სხვა" კატეგორია, რომელიც აქ არ ჩანს, შედის ყველა სხვა მომსახურება, სხვა მიმდინარე გადარიცხვები, არასასიცოცხლო დაზღვევის პრემიები და სხვადასხვა მიმდინარე გადარიცხვები
3 კაპიტალის ანგარიში არ არის ნაჩვენები ძალიან მცირე ზომის გამო (30 მილიონ დოლარზე ნაკლები). $1,5 მილიარდი მარჯვენა მხარეს არის ფინანსური ანგარიში.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, https://nbg.gov.ge/en/statistics/statistics-data; იხილეთ საგადახდო ბალანსი (BPM6) გარე მონაცემების ქვეშ

სხვათა შორის, საქონლისა და მომსახურების იმპორტსა და ექსპორტს შორის ნეგატიური სხვაობა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდია ყოფილი საბჭოთა კავშირის, ვარშავის პაქტისა და იუგოსლავიის ქვეყნებს შორის. სხვაობა შეადგენს მშპ-ის 8%-ს. მხოლოდ ბოსნია-ჰერცეგოვინა (-13%) და მოლდოვა (-24%) არიან უარეს მდგომარეობაში. მეზობელი სომხეთი უკეთეს მდგომარეობაშია: - 1%, რაც სწრაფი გაუმჯობესებაა 2019 წლის მონაცემებთან (- 14%) შედარებით, სავარაუდოდ, IT ექსპორტის ზრდის ხარჯზე (ნაწილობრივ ადგილობრივი, ნაწილობრივ რუსი პროგრამისტების ჩასვლით გამოწვეული). საქართველო კი, სამწუხაროდ, ექსპორტის ზრდის ნაცვლად, აგრძელებს ადამიანების გაგზავნას საზღვარგარეთ, რათა მათ მიერ გამოგზავნილი თანხით მშპ გაიზარდოს.



წყარო: მსოფლიო ბანკი; https://data.worldbank.org/indicator/NE.RSB.GNFS.ZS

5. უახლესი ზრდა არის რუსებისთვის ან რუსების გამო

მას შემდეგ, რაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, საქართველოში ორი რამ მოხდა: 2022-2023 წლებში ქვეყანაში შემოვიდა 74 ათასი რუსი (წმინდა მაჩვენებლით, გამგზავრებულების გამოკლებით) და რუსეთისა და დასავლეთის შორის საგარეო ვაჭრობის დიდი ნაწილი საქართველოს გავლით დაიწყო. ამის შედეგები კარგად ჩანს მშპ-ის მაჩვენებლებში: 2021-2024 წლების ეკონომიკური ზრდის 59% მოდის იმ სექტორებზე, რომლებზეც რუსეთის ფაქტორმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია, მათ შორის:

- საცალო ვაჭრობა და ავტომობილების შეკეთება, რომელიც სარგებლობს რუსების ჩამოსვლით და რუსეთში მანქანების ექსპორტით (რომელსაც ქვევით უფრო დეტალურად განვიხილავთ);
- ინფორმაციული ტექნოლოგიები - ჩამოვიდა ათასობით რუსი პროგრამისტი (რასაც უფრო დეტალურად განვიხილავთ);
- მშენებლობა, რომელიც დიდწილად იზრდება იმის წყალობით, რომ რუსები ყიდულობენ ან ქირაობენ ბინებს თბილისსა და ბათუმში;
- ტრანსპორტირება, სადაც შემოსავალი წარმოიშოება საქართველოს გავლით საქონლის თურქეთიდან რუსეთში გადაზიდვის შედეგად;
- მასპინძლობის სექტორი, რომელიც დიდწილად იზრდება რუსი ტურისტების წყალობით.



წყარო: საქსტატი, მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში, იხ. https://www.geostat.ge/en/modules/categories/23/gross-domestic-product-gdp

განვიხილოთ ამ რამდენიმე მაგალითიდან ყველაზე თვალშისაცემი - *ავტომობილების ექსპორტი.*

2021-2024 წლებში საქართველოს საქონლის ექსპორტი $2.3 მილიარდით გაიზარდა: ზოგიერთი საქონლის ექსპორტი $3.1 მილიარდით გაიზარდა, ზოგის კი - $0.4 მილიარდით შემცირდა, რის შედეგადაც წმინდა ზრდამ $2.3 მილიარდი შეადგინა. $2.6 მილიარდიანი ზრდიდან $2 მილიარდი, ანუ 66%, მოდიოდა მეორადი ავტომობილების რეექსპორტზე. მეორადი ავტომობილების ექსპორტის 90% სავარაუდოდ რუსეთში განხორციელდა

ყირგიზეთის, ყაზახეთისა და სომხეთის გავლით. ეს კი ნიშნავს, რომ მთლიანად *საქონლის ექსპორტის ზრდის 60% 2021-2024 წლებში, დიდი ალბათობით, მხოლოდ ერთ რამეს უკავშირდებოდა - საქართველოში მეორადი ავტომობილების შემოყვანას და მათ გადაგზავნას რუსეთში მესამე ქვეყნების გავლით.*



საიდან გამომდინარეობს ეს დასკვნა? იქიდან, რომ 2021 წელს ავტომობილების ექსპორტი ამ სამ ქვეყანაში შემდეგნაირი იყო: ყირგიზეთში - $18 მილიონი, ყაზახეთში - $24 მილიონი, სომხეთში - $15 მილიონი. ამავე წელს აზერბაიჯანში, რომელიც ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრი არ არის და რომლის გავლით რუსეთში ავტომობილების საბაჟოდ უფასოდ გატანა შეუძლებელია, ექსპორტი $268 მილიონს შეადგენდა. 2023 წელს აზერბაიჯანში ექსპორტი გაიზარდა $329 მილიონამდე. მაგრამ ყირგიზეთში, ყაზახეთსა და სომხეთში ექსპორტი გაიზარდა 67-ჯერ, 32-ჯერ და 9-ჯერ და მიაღწია $1.207 მილიარდს, $757 მილიონს და $129 მილიონს. მაშინაც კი, თუ გავაკეთებთ დაშვებას და ვივარაუდებთ, რომ ამ სამ ქვეყანაში რეალური მოხმარებისთვის განკუთვნილი ავტომობილების ექსპორტი გაორმაგდა, უდიდესი ნაწილი მაინც რუსეთში მიდის.



რამდენად შეიძლება აღნიშნულის უარყოფითად შეფასება? როგორც არ უნდა იყოს, ის ნამდვილად ქმნის სამუშაო ადგილებს ავტომობილების შეკეთების სექტორში (რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, 2021 წლის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დასაქმების წყაროა და საცალო და საბითუმო ვაჭრობასთან ერთად 32 ათასი ახალი სამუშაო ადგილი შექმნა, თუმცა კონკრეტულად რამდენი მოდიოდა თითოეულ სექტორზე, უცნობია). შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთგვარი გადასახადია, მეზობელი ქვეყნების განვითარების სახით, რომელიც ევროკავშირმა და აშშ-მ დაუწესეს რუსეთს სანქციების სახით: პრაქტიკულად, ეს აიძულებს რუსეთს, მის მეზობლებს გადაუხადოს საკომისიო იმ საქონლის მისაღებად, რაც სჭირდება. არ იქნება სასიამოვნო, როდესაც ამ „გადასახადიდან“ მიღებული შემოსავლები მოულოდნელად გაქრება, ვთქვათ, იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი მიაღწევს შეთანხმებას ევროკავშირთან ან/და აშშ-სთან. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ძნელია, ითქვას, რომ ფულადი ნაკადები არ უნდა არსებობდეს. ერთადერთი გზა, რითიც ის შეიძლება გაჩერდეს, იქნება სრული აკრძალვა ავტომობილების ექსპორტზე ყაზახეთში, ყირგიზეთსა და სომხეთში. თუმცა, მნიშვნელოვანია, გავიაზროთ, რომ საქართველოს საქონლის ექსპორტის ზრდა თითქმის მთლიანად რუსულ ფაქტორზეა დაფუძნებული და შეიძლება ისევე სწრაფად გაქრეს, როგორც გაჩნდა.

რაც შეეხება *IT ექსპორტს,* საქართველოში არსებობს ადგილობრივი IT ინდუსტრია, რომელიც ბოლო წლებში გარკვეულწილად წარმატებულია ექსპორტის მიმართულებით. 2021 წელს ქვეყანა ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა აღმოსავლეთ ევროპის ლიდერებს, როგორიცაა ბელარუსი, რუმინეთი და სერბეთი - თითოეულს ერთ სულ მოსახლეზე $300-ზე მეტი ჰქონდა წლიური კომპიუტერული სერვისების ექსპორტში. საქართველო ასევე ჩამორჩებოდა უკრაინას, მოლდოვასა და სომხეთს, სადაც ერთ სულზე ექსპორტი $100-დან $200-მდე მერყეობდა. თუმცა საქართველო იმ ეტაპზე მაინც უსწრებდა აზერბაიჯანსა და ცენტრალური აზიის ყველა ქვეყანას, სადაც ეს მაჩვენებელი $5-ზე ნაკლები იყო, მაშინ როცა საქართველოს ჰქონდა $38 ერთ სულზე, ჯამში $139 მილიონი. 2024 წლისთვის მაჩვენებელი მკვეთრად გაიზარდა: ჯამში - $570 მილიონი, რაც ოთხმაგი ზრდაა. ნაწილობრივ, ეს ზრდა უდავოდ ადგილობრივი განვითარებით იყო გამოწვეული (საბოლოო ჯამში, ექსპორტი ჯერ კიდევ 2020-დან 2021-მდე გაორმაგდა, $68 მილიონიდან $139 მილიონამდე, მანამ, სანამ რუსი პროგრამისტები მასობრივად ჩამოვიდოდნენ). მაგრამ უმეტესწილად, ზრდა, სავარაუდოდ, სწორედ იმ რუსი პროგრამისტების დამსახურებაა, რომლებიც 2022 წლის შემდეგ საქართველოში გადმოვიდნენ საცხოვრებლად ან სულაც მთლიანად გადმოიტანეს თავიანთი ოფისები.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, https://nbg.gov.ge/en/statistics/statistics-data; იხილეთ გადახდების ბალანსი (BPM-6) გარე მონაცემების განყოფილებაში

ეს ყველაფერი სარგებლის მომტანია რუსებისთვის, რომლებიც საქართველოში მიღებულ შემოსავალზე მხოლოდ 1%-იან გადასახადს იხდიან, IT სპეციალისტებისა და თვითდასაქმებულებისთვის მოქმედი საქართველოს უკიდურესად ლმობიერი საგადასახადო რეჟიმის წყალობით (რომლის ზღვარი დაახლოებით $180 000-ს შეადგენს, მაშინ როცა მსგავსი რეჟიმების ზღვარი, მაგალითად, უნგრეთსა და სერბეთში, დაახლოებით $50 000-ია). ეს ხელსაყრელია მათთვისაც, ვინც მათგან ფულს იღებს - ბინების გამქირავებლებისთვის, რესტორნებისთვის, კერძო სკოლებისა და საბავშვო ბაღებისთვის და სხვ. ადგილობრივი IT ინდუსტრიისთვის ეს, ალბათ, არც თუ ისე მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან რუსები პრაქტიკულად არ ინტეგრირდებიან ქართულ ეკოსისტემაში. ამასთან, აღნიშნული მნიშვნელოვანი ზიანის მომტანია იმ ადამიანებისთვის, ვინც თბილისში უკვე გაძვირებული ქირის გადახდას ცდილობს.

უძრავი ქონების გაყიდვების ფასების ინდექსი 2022 წლის დასაწყისიდან 2024 წლის დასაწყისამდე დაახლოებით 40%-ით გაიზარდა, ხოლო ქირის ფასები, 40%-დან 70%-მდე, იმის მიხედვით, რომელი ინდექსით (საქართველოს ეროვნული ბანკის თუ საქსტატის) ვიხელმძღვანელებთ. მიზეზი, ამ შემთხვევაშიც, რუსეთის მოქალაქეების ჩამოსვლაა. ბინის მეპატრონეები და სამშენებლო კომპანიები, ბუნებრივია, კმაყოფილები არიან და მშპ-ის მაჩვენებლებიც მშვენივრად გამოიყურება, რადგან სწორედ აქ აღირიცხება მათი მოგება (როგორც ადრე აღვნიშნეთ, 2021-2023 წლების ეკონომიკური ზრდის 13% უძრავ ქონებაზე მოდიოდა).



წყარო: TBC Capital; იხილეთ https://tbccapital.ge/static/file/202403274341-tbilisi-residential-market-monthly-watch-february-2024-eng.pdf

ბოლოს, მნიშვნელოვანია, განვიხილოთ *ტურიზმიც* - სფერო, სადაც 2021 წლის შემდგომ, ტურიზმის აღდგენაში ყველაზე დიდი წილი ისევ რუსებს აქვთ: კერძოდ - 26%, რომელიც ოდნავ უსწრებს თურქეთსა და სომხეთს (სამივე ერთად აღდგენის თითქმის 65%-ს შეადგენს). ტურიზმი თავისთავად უარყოფითი მოვლენა არ არის, გარკვეულწილად ყველა ქვეყანას აქვს. თუმცა, პრობლემა იქმნება, როცა ტურიზმი ერთადერთი ძირითადი ეკონომიკური საყრდენია და სიდიდით საქონლის მთლიანი ექსპორტის ნახევარს უტოლდება (საქართველომ ეს მძიმედ იგრძნო 2020-2021 წლებში, როდესაც პანდემიამ ტურიზმის შემოსავლები გააქრო). პრობლემურია ისიც, რომ ვიზიტორთა უდიდესი წილი, 22%, მოდის იმ ქვეყნებიდან, რომელსაც ნებისმიერ დროს შეუძლია, შეაჩეროს ეს ნაკადი და, დაახლოებით რომ ვთქვათ, $1.1 მილიარდის ეკვივალენტი უცხოურ ვალუტაში შემოსავალი წაართვას საქართველოს ეკონომიკას.[9] [10]



წყარო: საქსტატი, იხ. https://www.geostat.ge/en/modules/categories/102/inbound-tourism

[9]ეს გათვლა ეფუძნება 2023 წლის ვიზიტორთა საშუალო დანახარჯებს, რაც შეადგენდა დაახლოებით $800-ს 2023 წლის საშუალო გაცვლითი კურსით (2.63). იხილეთ: https://cutt.ly/hrhdxJ09, მოდული: „ხარჯების განაწილება“.

[10]დამატებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობას შეუძლია, მიიღოს დამატებით $1 მილიარდი უცხოურ ვალუტაში, თუ აზერბაიჯანი გახსნის სახმელეთო საზღვრებს, რაც 2020 წლიდან დღემდე ჩაკეტილია. ამ პერიოდში აზერბაიჯანიდან ვიზიტების რაოდენობა 1.5 მილიონიდან (2019) 0.2 მილიონამდე (2023) შემცირდა, რაც კარგად აჩვენებს, რა ალტერნატივები გააჩნია „ქართული ოცნების“ მთავრობას იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდება.



წყარო: საქსტატი, იხ: https://www.geostat.ge/en/modules/categories/102/inbound-tourism

შეჯამება

- საქართველოს აქვს ეკონომიკა, რომელშიც 600 000-ზე მეტი ადამიანი უმუშევარია, ხოლო „არასრულად გამოყენებული სამუშაო ძალის დონე“ 33%-ს შეადგენს; ანუ რეალური უმუშევრობის დონე სწორედ ამ დონეზეა;
- იმ ტემპით, რა ტემპითაც სამუშაო ადგილები იქმნება (2010 წლიდან მოყოლებული საშუალოდ 14 000 სამუშაო ადგილი წელიწადში), ქვეყანას დასჭირდება 19 წელი, რომ დასაქმება უზრუნველყოს ამ ადამიანების, სულ მცირე, ნახევრისთვის და ევროკავშირის დასაქმების საშუალო დონეს გაუსწორდეს;
- 2023 წლის ეკონომიკური ზრდის სამი მეოთხედი მხოლოდ თბილისსა და ბათუმზე მოდიოდა;
- კომპანიების მფლობელები იმხელა წილს იღებენ მშპ-დან, რომ თუ საქართველოში ხელფასების წილი მშპ-ში ისეთი იქნებოდა, როგორიც ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელია, თითოეული დასაქმებული წელიწადში სამი დამატებითი ხელფასის აღებას შეძლებდა;
- ქვეყანას კვლავაც ძირითადად ნედლეული და მეორადი ავტომობილები გააქვს ექსპორტზე, ზუსტად ისე, როგორც 2010 წელს, უბრალოდ უფრო დიდი მოცულობით; ერთადერთი ტექნოლოგიურად შედარებით განვითარებული პროდუქცია, რომელიც გადის ექსპორტზე, არის მედიკამენტები, რომლის წლიური მოცულობაც ოდნავ აღემატება $100 მილიონს;
- საქართველო მშპ-ის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს ხარჯავს კვლევასა და განვითარებაზე (R&D), ოდნავ მეტს, ვიდრე მიანმარი და პაკისტანი, მაგრამ ათჯერ ნაკლებს, ვიდრე, მაგალითად, ჩეხეთი (ისრაელზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომელიც 22-ჯერ მეტს ხარჯავს);

- საზღვარგარეთიდან ქვეყანაში გადმორიცხული თანხები ოთხჯერ გაიზარდა 2010 წელთან შედარებით, ხოლო მათი წილი მშპ-ში (საზღვარგარეთიდან გადახდილი ხელფასების ჩათვლით) 10%-დან 14%-მდე გაიზარდა, მიუხედავად სწრაფი ეკონომიკური ზრდისა, და მაშინ, როცა ეს წილი ყველა შედარებად ქვეყანაში მცირდება;
- ქვეყანა თითქმის ნახევარ იმპორტს ტურიზმისა და უცხოეთიდან გადმორიცხული ფულით აფინანსებს, რადგან საკმარისი ექსპორტი არ აქვს და არსებული კვლევისა და განვითარების (R&D) დონის გათვალისწინებით, ვერც ექნება;
- საქონლისა და მომსახურების უარყოფითი სავაჭრო ბალანსით (მშპ-ის -8%) საქართველო მხოლოდ მოლდოვასა და ბოსნია-ჰერცეგოვინას უსწრებს, რომლებიც არ განიხილებიან ეკონომიკური წარმატების მაგალითებად;
- და 2021 წლიდან საქონლის ექსპორტის ზრდის 60% დიდი ალბათობით, მხოლოდ ერთი მიზეზით არის გამოწვეული: მეორადი ავტომობილების რეექსპორტით რუსეთში ყაზახეთის, ყირგიზეთისა და სომხეთის გავლით.

ამ ყველაფრის ფონზე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს ეკონომიკური მოდელი უმრავლესობისთვის ნაკლებად მიმზიდველია. გასაკვირი არ არის, რომ ამდენი ადამიანი ტოვებს ქვეყანას და არც ის იქნება გასაკვირი, რომ სხვებიც წავლენ, თუნდაც საქართველოში ყველაზე დემოკრატიული მმართველობა დამყარდეს.

რა თქმა უნდა, არსებობს სიტუაციის შემობრუნების გზები - ან, სულ მცირე, მცდელობის შესაძლებლობა. ბევრი წიგნი დაიწერა იმის შესახებ, თუ როგორ გააკეთეს ეს სხვა ქვეყნებმა - მაგალითად, სამხრეთ კორეამ, ტაივანმა, ან იაპონიამ.[11] აქ მთავარი საკითხი ისაა, რაც უკვე ვახსენეთ - R&D-ის (კვლევისა და განვითარების) ღირებულება. თუ ვინმეს სურს, ისწავლოს, ვთქვათ, პლასტმასის ვარცლების წარმოება ექსპორტისთვის, ვინ დააფინანსებს იმას, რომ ამ ექსპორტზე ორიენტირებულმა მეწარმემ აწარმოოს 1 000 ცუდი ხარისხის ვარცლი, რომელიც არავის სჭირდება, სანამ არ ისწავლის ისეთი პროდუქციის შექმნას, რომელიც კონკურენციას გაუწევს, მაგალითად, თურქულ ნაწარმს, იმ ფონზე, როცა თურქულ კომპანიებს ამ საქმეში უკვე 30-წლიანი გამოცდილება აქვთ? პასუხი არის ის, რომ ეს თანხა საზოგადოებამ უნდა გამოყოს, რადგან, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, მეწარმეები ამას თვითონ არ გააკეთებენ და ამის ნაცვლად აირჩევენ თბილისში უძრავ ქონებაში ფულის დაბანდებას, რადგან ეს მათთვის ინდივიდუალურად ბევრად უფრო მომგებიანია. მაგრამ, თუ საქართველო დღეს R&D-ზე (კვლევასა და განვითარებაზე) მშპ-ის მხოლოდ 0.3%-ს ხარჯავს, სად უნდა ვიპოვოთ დამატებით 1% (აუცილებელი მინიმუმი) ან 2% (რეკომენდებული დონე)? და არავინ საუბრობს ჯერ იმ ხარჯებზე, რაც, მაგალითად, ექსპორტის სწავლას და ბაზარზე საკუთარი პროდუქტის პოზიციონირებას სჭირდება. 1.6 მილიარდი ლარი (რაც 2023 წლის ნომინალური მშპ-ის, 81 მილიარდის 2%-ია) მცირე თანხა ნამდვილად არ არის. ეს უფრო მეტია, ვიდრე თავდაცვაზე გაწეული ხარჯი (1.3 მლრდ) და მხოლოდ ოდნავ ნაკლები, ვიდრე ჯანდაცვაზე დახარჯული თანხა (1.8 მლრდ), ჯამური

[11] იხილეთ ელის ამსდენი – *Asia's Next Giant: South Korea and Late Industrialization*; რობერტ უეიდი – *Governing the Market: Economic Theory and the Role of Government in East Asian Industrialization*; ჩალმერს ჯონსონი – *MITI and the Japanese Miracle: The Growth of Industrial Policy, 1925–1975*; ჰა-ჯუნ ჩანგი – *Kicking Away the Ladder: Development Strategy in Historical Perspective*; ერიკ რეინერტი – *How Rich Countries Got Rich and Why Poor Countries Stay Poor*; და მოკლე მიმოხილვისთვის (და ბევრად უფრო ხელმისაწვდომ ენაზე), ჯო სტადუელის *How Asia Works*.

ბიუჯეტის (24.5 მლრდ) ფარგლებში.[12] თუმცა, რომ დავაკონკრეტოთ, საუბარი არაა კიდევ ერთ 20 მილიარდ ლარიან ინვესტიციაზე - საუბარია რამდენიმე მილიარდზე. ეს მოხერხებადია. მთავარია, მართლაც არსებობდეს ამის გაკეთების სურვილი და არა იმის ლოდინი, რომ საბაზრო ეკონომიკის კეთილგანწყობილი ხელი ყველაფერს თავისთავად მოაგვარებს (რაც 30 წლის განმავლობაში არ მოუგვარებია, და არც მომდევნო 30 ან 100 წლის განმავლობაში მოაგვარებს). რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ეს თანხა უნდა დაიხარჯოს ისე, რომ რეალური შედეგი მოიტანოს, რისთვისაც საჭიროა სხვების გამოცდილების გათვალისწინება.

სხვათა შორის, ყველა იმ ქვეყნის გამოცდილება, რომლებმაც ინდუსტრიული განვითარება დასავლეთის შემდეგ დაიწყეს, ერთსა და იმავე სამ პრინციპზე დაყრდნობით იყო აგებული:

1. მნიშვნელოვანი ფინანსური და ტექნიკური რესურსების მიმართვა საოჯახო ტიპის, ერთ ჰექტრამდე ზომის მეურნეობების გაძლიერებისთვის, რათა სოფლად არსებული ჭარბი სამუშაო ძალა მიიზიდოს/შეინარჩუნოს რეგიონებში და ამით გაიზარდოს როგორც ექსპორტი, ისე ადგილობრივი მოხმარება;

2. ქვეყნის ყველაზე კვალიფიციური მეწარმეების წახალისება, რომ მათი საქმიანობა გადაერთოს წარმოებაზე (ასევე, ციფრულ სერვისებზეც) და ექსპორტზე, ნაცვლად იმისა, რომ ააშენონ საცხოვრებელი შენობები ან დააფუძნონ ბანკები; მათ უნდა მიეცეთ სუბსიდიები, რომლებიც პირდაპირ კავშირში იქნება მათ საექსპორტო შედეგებთან, რაც რეგულარულად გაკონტროლდება (და მათი დაცვა იმპორტისგან იქამდე, სანამ აღწევენ სამიზნე მაჩვენებლებს - მანამ, სანამ საკმარისად არ გაიზრდებიან იქამდე, რომ მათი დაცვა აღარ იქნება საჭირო);

3. ქვეყნის საბანკო სექტორის გამოყენება, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური ბერკეტებით, იმისთვის, რომ ბევრად იაფი სესხით დაფინანსდეს სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, რომელიც ორიენტირებულია საქონლის ექსპორტზე გასატანად (ფაქტობრივად, საექსპორტო სწავლების დაფინანსება არა გადასახადებით, არამედ საპროცენტო განაკვეთებით, რომელსაც ეკონომიკის სხვა მონაწილეები იხდიან).

რა თქმა უნდა, კორეისა და იაპონიის პირობები განსხვავებული იყო. ისინი იყვნენ დიდი მოსახლეობის მქონე ქვეყნები, დიდი შიდა ბაზრებით, აშშ-ს მტკიცე მხარდაჭერით ცივი ომის პერიოდში და იმ დროს გლობალური ვაჭრობის წესები ბევრად უფრო ლოიალური იყო, რაც საშუალებას აძლევდა განვითარებად ქვეყნებს, გამოეყენებინათ არაერთი ღონისძიება საკუთარი ბაზრების დასაცავად. გარდა ამისა, არაა ცხადი, საქართველოს შემთხვევაში იმუშავებს თუ არა ზემოთ ნახსენები პირველი პუნქტი - საოჯახო მეურნეობების გაძლიერება. კორეასა და იაპონიაში აღნიშნულ აგრარულ რეფორმებს ახორციელებდნენ მაშინ, როცა ისინი ეკონომიკურად ბევრად უფრო სუსტები იყვნენ. მაგრამ, ამ ყველაფერს, გარკვეულწილად, არსებითი მნიშვნელობა არც აქვს - პირობები ყოველთვის განსხვავდება. თუ საქართველო არ შეეცდება, გააუმჯობესოს საკუთარი თავი იმაზე მეტად, ვიდრე არის (ქვეყანა, რომელიც დამოკიდებულია რუსეთიდან შემოსულ

[12] იხილეთ: https://cutt.ly/wrhf2d0Z.

ტურისტებზე, ფულად გადმორიცხვებზე ევროპიდან და ავტომობილების ექსპორტზე „ყირგიზეთში“), მაშინ შედეგიც იგივე იქნება 2044 წელს, რაც იყო 2024 წელს: პორშეები ათასებისთვის, ემიგრაცია ასიათასებისთვის და მიმზიდველი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე საუბარი ყველგან.